

რედაქცია: სოლოლოვა, სერ-  
გიევის ქუჩაზე, ივ. ამბროსიის სახლ-  
ში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-  
გიევის ქუჩაზე, ივ. ამბროსიის სახ-  
ლებში, № 8.

ხელის-მოწმარ მიიღება კანტორ-  
აში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-  
графіи. Въ редакціи газ. „Дროзга“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-  
სა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და  
50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორგანოს გარდა

# დროშა

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

განცხადება: მიიღება ქართულს,  
რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დათმობა-  
დით ასობზე—1 კაპ., ასობ-მთავრულით  
ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-  
ფეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება ექვს გა-  
სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ  
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-  
ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-  
დება.

## საქართველო

### პასუხი აპ. წმრეთლის კითხვისა

ბუშინდელ „დროების“ ნომერში უ.  
აკ. წმრეთელმა ეს კითხვა აღძრა: „თფი-  
ლისში რომ ერთი ქართველიც არ გაუ-  
რიონ ამორჩეულების (ქალაქის ხმოვან-  
ებისა) რიცხვში, რას უნდა მოვაწეროთ  
ეს?“

ამ კითხვის პასუხს უ. წმრეთელი „სომ-  
ხურ ყურნალ-გაზეთის რედაქტორებისა  
და იმათ ავან-ჩავანებისაგან“ მოკლის.

მე პასუხი სომხურ გაზეთის რედაქ-  
ტორებს კი არ უნდა მოგსთხოვოთ,  
ჩვენ თავს უნდა ჩამოვართვათ. მისი ბრა-  
ლია, მართლა, რომ პირველ ხარისხის  
ამორჩეულ ხმოვანების რიცხვში არც  
ერთი ქართველი გვარი არა სჩანს?

ისევ ჩვენი ქართველების ბრალია.

მაჭრობა, ხელისხობა და შრომით  
ქონების შეძენა ჩვენ გვეთაკილება;  
ხარჯის, ფლანტის და ვალების აღების  
მეტი ხელისხობა არა ვიცით-რა; მაშ რათ  
უნდა ვჩივოდეთ და სხვებს ვაბრალებ-  
დეთ, რომ მამული ხელიდან წაგვივი-  
და? მისაც ქალაქში უძრავი ქონება  
აქვს და ქალაქის ხარჯი შეაქვს, იმას არ-  
ჩვევანის უფლებაცა აქვს—კანონი ეს არის.  
მართის სიტყვით, ვისიც ქალაქია—მმარ-  
თვაც იმისია.

ახლა მიბძანეთ, ბევრია იმისთანა ქარ-  
თველი, რომ ქალაქში უძრავი ქონ-  
დეს?—ძალიან ცოტა. ამ რიცხვიდან  
ისინიც გამორიცხეთ, რომელთაც არჩე-  
ვანის უფლება ხარჯის შეუტანლობის  
გამო დაუკარგავთ.—რაღა დარჩება?...  
არამც თუ პირველ ხარისხისა, მთელს  
ქალაქის ოჩევაში არც ერთი ქართველი  
რომ არ ამოიჩიონ, მაშინაც ნუ გავვი-  
კვირდება.

შინც იყვნენ მდიდარნი და გამოჩე-  
ნილნი ქართველნი წარსულს ოთხ-წე-  
ლიწადში ამოიჩიეს მეკენჭებმა, მაგრამ  
როგორ აასრულეს ამ ქალაქის წარმო-  
მადგენელებმა თავიანთი თანამდებობა?—  
მსენი არცკი მიდიოდნენ რჩევის სხლო-  
მაში და სრულადი გულ-გრილობა გა-  
მოაჩინეს ქალაქის მმართველობისთვის.

ახლად-ამორჩეულ ხმოვანების სიიდან  
სჩანს, რომ მართლ ქონება არ არის სა-  
ჭირო ხმოვანის ამორჩევისათვის, ზოგ-

ჯერ ჭკუის მქონეს აძლევენ უპირატე-  
სობას სიმდიდრის მქონესთან. ამით შე-  
გვიძლო კიდევ გვესარგებოდა და დაგვეპ-  
კვიდრა უფლება ქალაქის მართველობა-  
ში მონაწილეობა მიგველო; მაგრამ ბევ-  
რნი არიან განა განათლების მქონნი  
ქართველობაში?—სად არის განათლე-  
ბული, მხნე და გონიერი ახალგაზდობა?  
ახლანდელი ყმაწვილები გიმნაზიის კურ-  
საც არ ასრულებენ, არამაც თუ უნივერ-  
სიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლე-  
ბელისას. ბულვარის მტკუნელი, ცრუ-  
პენტელა, მესამე კლასიდან გამოგდებუ-  
ლი ბოლოს სამსახურში მწერლათ შე-  
სული—აი ახლანდელი განათლებული  
ყმაწვილ-კაცობა. მეყანა უნდათ გადა-  
კეთონ ერთი რამ წაკითხულს საცოდავ  
წიგნის დაგვართ, და რაც ცხვირ წინ  
უძევთ არა გაეგებათრა,—ამათუნდა მიან-  
დონ მოქალაქებმა ქალაქის მართვა?

რითი უნდა დაიმსახუროს კანდიდატმა  
მეკენჭის ნდობა, თუ არც თავის საკუ-  
თარს ქონებას რიგიანათ მოუვლის, არც  
გონიერობით გამოჩენს თავსა და არც  
ქალაქის სიკეთისათვის იზრუნავს?

„აბლაბუდების“ და „ყაჭის ქიების“ რა  
ბრალია, რომ ჩვენ თვითონ ჩვენი საქმე  
წავიხდინეთ?...  
ა.

ამ ნომერში იბეჭდება უფ. ა.—ის შე-  
ნიშვნა ჩემს „კითხვაზედ.“ ჩვენ არ ვაძ-  
ლევთ ამ სტატიას პასუხს ჯერ-ჯერობით  
სანამ ის პირები, რომელთაც ჩვენ მიე-  
მართეთ და რომელთაგანაც პასუხი მო-  
ვითხოვეთ, არ გვიპასუხებენ, და მაშინ  
კი უპასუხებთ ერთსაც და მეორესაც.

სათქმელი ბევრი გვაქვს და რაც გა-  
მოსააშკარებელია, ბარემ გამოაშკარდეს.  
რაც აღრე იქნება, ის სჯობია...

აკაკი წმრეთელი

### დღიური

\* \* \* გაზეთს „ბაკანში“ დაბეჭდილია  
ყურადღების ღირსი სტატია, სახელად  
„თფილისის ქალაქის რჩევა“, რომლი-  
დამაც მოგვყავს ხარაქტერისტიკა ზო-  
გიერთის ახლანდელის ხმოვანებისა:

„შინც ხუთჯერ-ექვსჯერ დასწრებია  
ჩვენი რჩევის სხლომებს, შენიშნავდა,  
რომ ამ რჩევაში არის რამდენიმე ხმო-

ვანი, რომელნიც ყველა საქალაქო სა-  
ქმეების განხილვის დროს იღებენ სჯა-  
ში მონაწილეობას და რომელნიც სწყვე-  
ტენ ამ საქმეებს. მსენი არიან უფ. მლი-  
მირზოვი, ალადათოვი, ხარაზოვი, სუნ-  
დუკიანცი, ნ. ზუბალოვი, სურგუნოვი,  
პ. ზუბალოვი, იშმიროვი, ამიროვი,  
მევანგულოვი და იონესიანი. ამ ხმოვან-  
ებზედ არის დამოკიდებული ქალაქის  
გამგეობა.

„მეორეგროვას ხმოვანებისას შეადგენენ  
ისეთი პირები, რომელნიც ხან დადიან და  
ხან არა რჩევას სხლომაზე და მაგდენს ბევრს  
არას არიგებენ. მსენი არიან: უფ. თაი-  
როვი, არწრუნი, ავერკიევი, რეიტერი,  
გ ხატისოვი, მართანოვი, როტინიანიც  
და სხვ.

„მესამე გროვას შეადგენენ ყოვლად  
უმნიშვნელო ხმოვანები, რომელნიც  
აგრეთვე ხან დადიან და ხან არა რჩევის  
სხლომებზე.

„მსთქვათ რამდონიმე სიტყვა ამ გრო-  
ვათ წარმომადგენლებზე:

„უფ. მლიმირზოვი და ალა-  
დათოვი მუდამ წინააღმდეგნი არიან  
შპრავისა და ხშირად მთელი რჩევაც  
იმათ მხარს იჭერს. ორივემ ზედმიწევ-  
ნით იციან ქალაქის ყველა საქმეები;  
კარგათ იციან აგრეთვე შპრავის სუსტი  
მხარეები. უფ. მლიმირზოვს კანონი  
უჭირავს ხელში; „ქალაქის წესდება“  
იმისთვის შორანია. ია ლაპარაკობს ტკბი-  
ლად, მაგრამ ხანდისხან მწარე ჭეშმარი-  
ტებას ეუბნება უპრავას. უფ. ალადა-  
თოვს არც ერთი სხლომა არ გამოუშვია  
რჩევისა. იმასავით არაიენ არ იცის ქა-  
ლაქის საქმეები. ხშირად დაიარება მამ-  
გეობაში იმ საქმეების გასაცნობად, რომ-  
ელზედაც კრებაში უნდა იქნეს მოლა-  
პარაკება. ია დამცველია ქალაქის გაჭი-  
რებული ხალხისა და, თუმცა რუსულად  
ცუდათ ლაპარაკობს და თითქო მუდამ  
ჯავრობსო, მაგრამ ყველანი გრძნობენ,  
რომ ის წრფელის გულით ამბობს, რა-  
საც ამბობს.

„უფ. მევანგულოვი პირველი  
ორატორია და იურისტი რჩევისა. რო-  
ცა რომელსამე საგანზე სჯაა, პირველად  
ის არასოდეს არ იტყვის არაფერს: უცდის,  
როცა სხვები იტყვიან და მერე გამოთ-  
ქვამს თავის ჰაზრს, რომელსაც ხშირად  
მთელი რჩევა ერთხმად ემორჩილება.

„უფ. ნ. ზუბალოვი თითქო არც  
ერთ საგანს გულმოდგინეთ არ ჰკიდებს  
ხელს. ის ეძებს შემთხვევას, რომ რომე-

„უფ. ნ. ზუბალოვი თითქო არც  
ერთ საგანს გულმოდგინეთ არ ჰკიდებს  
ხელს. ის ეძებს შემთხვევას, რომ რომე-

„უფ. ნ. ზუბალოვი თითქო არც  
ერთ საგანს გულმოდგინეთ არ ჰკიდებს  
ხელს. ის ეძებს შემთხვევას, რომ რომე-

„უფ. ნ. ზუბალოვი თითქო არც  
ერთ საგანს გულმოდგინეთ არ ჰკიდებს  
ხელს. ის ეძებს შემთხვევას, რომ რომე-

„უფ. ნ. ზუბალოვი თითქო არც  
ერთ საგანს გულმოდგინეთ არ ჰკიდებს  
ხელს. ის ეძებს შემთხვევას, რომ რომე-

ლიმე ხმოვანი იმისივე სიტყვებით გააბ-  
ტყუნოს.

„უფ. სუნდუკიანცი ცდილობს,  
რომ ყოველი საგანი გარკვევით, დინ-  
ჯათ იყოს განხილული.“

„უფ. ხარაზოვი თითქო ცდი-  
ლობს, რომ არაფერს წაართვას ჰაზრი  
და ყველაზე პირველად უნდა სიტყვა  
სტყუას. ცდილობს აგრეთვე, რომ მო-  
წი\*ალმდევე მხარეები მოარიგოს.“

„უფ. იონესიანის ხმაში თითქო  
ეს სიტყვები მოისმის: „მანა ღირს ამა-  
ზე ბევრი ლაპარაკი! მანა იხეთი ცხიდი,  
ისეთი უბრალო საგანია!“ ის სულ ახალ-  
განდა, ევროპული განათლება მიუღია.“

„უფ. სურგუნიანი ძალიან ენერ-  
გიული კაცია; ყოველთვის მზათაა თა-  
ვის დრო შეწვიროს ქალაქს.“

„უფ. ა. ლ. თაიროვი ავტორი-  
ტეტია პოდრიადების საქმეებში. მამა-  
პაპის გზაზე დგას, ქალაქის ხაზინას იფა-  
რავს.“

„უფ. ბ. არწრუნსაც ევროპული გა-  
ნათლება მიუღია, მაგრამ, როგორც ეტყ-  
ყობა, ის თავის გაზეთისათვის უფრო  
ხმარობს ამ განათლებას, ვინემ ქალა-  
ქისათვის.“

„უფ. ავერკიევი ერთადერთი რუსია  
თუილისის დუმაში და იმასაც არაფრით  
არ დაუმსახურებია ყუჩადლება.“

\* \* \* თუილისის საკეთილშობილო ძრე-  
ბაში (ბლუბში) ამ მომავალ კვირას, 17-ს,  
იქნება გამართული ბალი იმ ექიმების  
ღარიბი ცოლ-შვილის სასარგებლოდ,  
რომელნიც შარსისაკენ და ბათუშისაკენ  
ბრძოლის ველზე დახოცნენ რ.მში ან  
აეთამყოფობით.

\* \* \* მუთისის საქალებო გიმნაზიას  
შეაღწევის ბრძანებით დაერქმევა სა-  
ხელად მღვდის საქალებო გიმნაზია.

\* \* \* ბაზეთებში გამოცხადებულია, რომ  
შოთილამ ბათუშისაკენ კვირაში სამჯერ  
მიდის გემი: სამშაბათს სალამოს, ან ოთხ-  
შაბათ დილით, ხუთშაბათს დილის 9  
სათზე (ცეცხლის გემი „რიონი“) და  
კვირას ახუ. ორშაბათს („ბაზიკი“ ანუ  
„ბაბუშკა.“)

ბათუშილამ შოთში მოდის კვირაში  
ორჯერ: სამშაბათობით ანუ ოთხშაბა-  
თობით („ბაზიკი“ ანუ „ბაბუშკა“) და  
ხუთშაბათობით ღამით ანუ პარასკევ  
დილას (რიონი).

ამას გარდა, თუ საჭიროება მოითხოვს,  
სხვა დროსაც ივლიან გემები შოთსა და  
ბათუშს შუა და მოგზაურებსა და სა-  
ქანელსაც მიიღებენ.

\* \* \* რაქილამ გვწერენ, რომ წელს  
ჩვენში ძალიან უხვი მოსავალი მოვიდა  
პურისა და ღვინისაო. მაგრამ ამასთანა-  
ვე, ამ ღვინის სიუხვის წყალობით, სმა,  
ლოთობა და ჩხუბები გახშირდა და  
ძალიან ბევრი ცხვირ-პირ და მტყორჩი  
და დაჭრილები არიან ამ ქაშად ჩვენში  
ამ ჩხუბების გამოყო.

### წმინდი რამაძობრთანი

უფ. რედაქტორო!

ამას წინათ მივედი ჩვენს სასული-  
ერო სასწავლებელში და ვათხოვე იმის  
წედამხედველსა უფ. ასათიანს, ნება მო-  
ევცა ჩემთვის, გაკეთილებია დროს, კლას-  
ებში შესვლისა, მისთვის რომ მსურდა  
მომესმენა გადაცემასწავლისა მოსწავლე-  
ებზედ.

მაგრამ მან ეს ჩემი თხოვნა შეძლე-  
ლად ჩასთვალა და ამ თხოვნაზედ უა-  
რი გამომიცხადა.

მერ გავიგე ამ უარის-თქმის მიზეზი.  
მგება კლასებში იმის მასწავლებლებისა-  
გან არა კეთდებოდეს-რა და ამით სცილი-  
ლობს, რომ გარეშე პირებმა არ შეუტ-  
ყონ და საქეყნო ხმად არ გამოუშვან!

მა უკანასკნელი ხერხი თუ მისი მო-  
გონებულთა, ძლიერ კარგად მოუფიქ-  
რებია: გარეშე პირისათვის, ეველათერი  
დაფარული იქნება და თუ ვინმე იქ მო-  
სამსახურე მა წავლებელთაგანმა გაბედა  
გამოაშკარეა, ვაი იმისი ბრალი: ის ბო-  
ლოს ანაწებინებს და ენასაც ბევრს ატ-  
კვერინებს...

მუთისი, 4 დეკემბერს.

### II

უფ. რედაქტორო!

ბათუში მივედი. შოთში რომ  
მივედ, დავექა ერთს სასტუმროში და  
რადგან მეორეს დღეს, ცულის დარის  
მიზნებით, პარახოდი ვეღარ წავიდა ბა-  
თუში, დავრჩი მთელი დღე, ცუდათ  
დავიარებოდი შოთში, ვთქვი: წავალ  
ეკლესიაში და სალამოს ლოცვას მო-  
ვისმენ მეთქი. მაკითხე, ამ ქალაქში ჩვე-  
ნი ეკლესია (ფრანგების) არის თუ არა  
მეთქი? მითხრეს, აქ მართო ქართველ-  
ებისა და სომხებისა არისო.

წავალ სომხების ეკლესიაში, მაგრამ  
ჩემმა იქ წასვლამ ამოთ გაიარა, რადგან-  
ც ეკლესია დაკეტილი დამხედა; დიდხან  
უცადე, იქნება ან მღვდელი მოვიდეს,  
ან დიაკონი და ლოცვა დადგეს-თქო.  
მაგრამ არაფერს მოვიდა. დავბრუნდი ისევ  
ჩემს ბინაზედ და სასტუმროს პატრონს  
ვკითხე სომხების ლოცვა რატომ არ იყო  
ამალამა-თქო?

იპან სულ დაწერილებით მიანბო იმა-  
თი ანბავი და იმათი ღვდლის ცუდი ხა-  
სიათი და საქციელი: თუმცა ეკლესია  
ქონიათ კარგათ, სუფთათ გაკეთებული  
და თითონაც ყოფილან ეკლესიის მო-  
ყვარულნი, მაგრამ იმ თავიანთს ღვდლის  
ცუდს ენას და ცუდს ყოფა-ქცევას ისე  
გაუცვეთია იმათი გული და ისე წარუ-  
კეთია იმათი სასოება, რომ სულ აღა-  
რაფინ მიკარგებია ეკლესიას და არიან  
უღვდლოთ. მითონ სად დადის და სად  
არა, კაცმა არ იცის. წელიწადში ორ-  
ჯელ მოვა თურმე: ერთი საწყალო-კურთ-  
ხეთ, ერთიც სააღდგომოთ წითელ პა-  
რასკევს, ისიც იმ განძრავით, რომ მა-

შინ სწიროს და თუთი მოხვედოს, მო-  
ხვედამს და მეორე დღეს საღვთო გაქ-  
რება!

ამისათვის იქაური სომხები კაცი-ქა-  
ლამდის სულ ქართველების ეკლეს-  
იაში დაიარებიან და თუ მოკვდება ვინ-  
მე, მკვდარსაც ქართველის მღვდელს აშარ-  
ხვინებენ.

მა გარემოება, უფალო რედაქტორო,  
თუმცა მე არ შემიძნება, რადგანაც მე  
სხვა სარწმუნოებისა ვარ, მაგრამ რად-  
განაც თქვენის პატივცემულის გაზეთის  
შემწეობით ბევრი რამ საჭიროება სასარ-  
გებლო ქვეყნისა და ხალხის შესახებ  
შესრულებულა, გაზეთში გამოცხადებით,  
მეც იძიტომ გთხოვთ გამოცხადდეს ეს,  
რომ ვისიც ჯერი არის, იქნება ყურად-  
ღება მიაქციოს და შოთის სომხებს გა-  
უმწესონ ერთი რიგისი და სინილისიანი  
მღვდელი, რომელმანც იზრუნოს თავის  
სამრევლოს სულისა და ხორცისათვის...

ახალციხელი.

### „დროშის“ კორამსკონდენსია

ბ.

იპრის ხომლიდგან, 28 ნოემბერს. მან  
იცის რას ფიქრობდა ის ბრწყინვალე  
აზრების პატრონი, რომელსაც თავდაპირ-  
ველ გაუპრჭყვრილა თავში, თუ მითომ  
ხალხისათვის მადლიან სასარგებლო იქ-  
ნება გაიხსნას საზოგადო პურისა მალაზიე-  
ვით! მასს, რასაკვირველია, ათას ნაირი  
ფიქრები მოუვიდოდა, ვრცელი პლა-  
ნები და პროექტები, წარმოიდგენდა  
მომავალს და საბოლოოს და, უეჭვე-  
ლია, შეადგენდა ამ საშუალებაზედაც იმ  
ნაირ აზრს, ვითომც იგი შექნებოდეს  
თავის დროზედ ერთ უმჯობეს ხერხათ  
კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესო-  
ბისა.

მაგრამ... მაგრამ რა? მაგრამ ის, რომ  
ჩვენში მმართველობის განკარგულებამ  
ამ პურის მალაზიის გამო თითქმის სრუ-  
ლებით ამოთ ჩაიარა და თუ ყვილგან  
არა, ამ ჩვენ მხარეს მაინცა და მაინც,  
თორემ ამას ხომ ღმერთიცა ჰხედავს და  
კაციც.

იე დაუფუტდეს ჩემ მტერს ჯიბე და  
დაუცარიელდეს თარო, როგორც ბერთ-  
უბან-პატარძელის მალაზიებია ცარი-  
ელი. ასე იფიქრეთ, თვით შენობაც  
კი არ სად არის პურისათვის!

იკი ყველას ახსოვს, რომ პირველად  
მოიკრეფა პური დიდის ვაი-ვაგლახით  
და შემდეგ გაიტანეს სასესხათ. მაგრამ  
ვინ გაიტანა ან რამდენი გაიტანა და თუ  
გაიტანეს, რატომ აღარ შემოიტანეს? —  
ამის მკითხველი ხომ ღმერთს არ გაუ-  
ჩენია. რომ ჰკითხო ვისმე, სულ თითებ-  
ზედ ჩამოხსთვლიან, თუ მალაზიის პური  
შეჭამეს ამანა და ამანაო. რასაკვირველია,  
პური შეჭამეს—ეს ცხადია ყველასათვის,  
მაგრამ ვინ არის მათი ცხვირში ძმრის  
წამომდენელი?!

რაც ს. საგარეჯოში პური მოიკრეფა



თავდაპირველად, ჯერ ისიც რომ იყო, კიდევ ერთი დიდი ბედელი მოუხდებოდა, სარგებელს ვინ-ღა ჩივის ამ შეიდი-რვის წლისას?

ქვირა დღე იყო; მალაზია დიდის ხნის უნახავი ჰქონდათ და მოინდომეს გაშინჯვა. მემრე რა ვნახეთ? იქ იყო ერთი ოციოდე კოდისოდენი პურის გროვა მოფენილი თავგებით, თითქო ძალათ შემოულაღნიათ პურის ასაოხრებლათაო. მთელი ერთი ნახევარი ამ პურისა სრულგებით დამპალი და აყროლებული იყო. ჯანი გავარდეს ამ ნახევარს, ნეტავ მეორე ნახევარი მაინც უზიანათ დარჩენილიყო: ისიც შეჭდგომია საიჭიოს გზას, საწყალ ხალხს მაინც აჩუქონ, იქნებ სახამებლათ გამოეყენებინათ; მაგრამ არა, უნდა სულ დაღბეს და ბოლოს აიღონ და გადაჰყარონ!

პური დაუდგეთ ახლა ბიორგი-წმინდის მალაზიის ისტორიას:

როგორც ვიცით, მოჰხდა განკარგულება მთავრობიდან და შეიკრიბა პური, ბევრი თუ ცოტა, ეს ჩვენთვის არ არის ცხლა საჭირო. აქას მოგახსენებთ, პური შეიკრიბა ერთ ძველ ბურჯში. პო შეიკრიბა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ აღარც გამოიკრიფა და აღარც. ია ვერ შევტყუეთ აქამდისინ, არ ვიცით პირისანახავსა თხოულობს, თუ როგორ არის იმისი საქმე! რომ ჰკითხო ვისმე— პური არის მალაზიაშიო, თუ არა, მერ-წმუნეთ პასუხს არავენ მოგცემს. ლამის სამკითხაოთ გაგვიხდეს საქმე...

ზოგი იმას ამბობს, რომ დაღბაო, ზოგი ტილმა შეჭამაო, ზოგი კი სულ ახირებულია: პური კი შევიტანეთ, ბრძანება ავასრულეთო და რა მედარდება, რაც უნდა, ის მოუვიდესო!... ასე იფიქრეთ, თვით მალაზიის მწარმოებლებმაც კი არა იციან-რა თავიანთ მალაზიის გარდასავალზედ.

მანავეში ხომ მგონი თავათაც არა იყო რა, და ცხლა ხომ სულ ღმერთი გაუწყრა. მითი რიგი ჯერ შარშანწინე დაუღობათ და გადაჰყარეს, ხოლოდ ბოლოს მოიკრიფა გასესხებულიდგან რამდენიმე კოდი და, მე როგორც ვხედავ, ეს უკანასკნელი არც მატულობს და არც კლებულობს. რაღა ბევრი ვილაპარაკოთ:—მალაზიაში ეს ათჯერ მაინც მიწახავს, რომ ერთი ხუთიოდე კოდი მიყრილი ბედლის კუნჭულში. ამასაც ვინ იცის რა დავმართა ამ უკანასკნელ დროს ამოდენი თავგების სიმრავლით.

ბატონო, თითქო შარსს იღებენ იერი-შითაო, ასე გულადათ და მრავლათ დავცემიან ხოლმე, სადაც კი ცოტა რასმე შეავულებენ, და აბა, თქვენგანით არ მივირის, სად არის ისეთი ოხერი და უბატონო სარჩო, თუ არა სასოფლო პურის მალაზიებში! ასე, ჩემო ბატონო, სადაც არის, იქაც თავგები სჭამენ და ბერთ-შბანში რომ არაფერია, აკი თავგებოც ვერას აკლებენ.

ზადარჩა ამ გვარ უფსკრულსა, ვითარცა ლოტი სოდომის გარყენილებასა, ს. ძაკაბეთი, მა უკანასკნელი მართლა და აღუვალებულია ამ ჭამათ; მაგრამ ესეც

სიღნაღის უფხდშია მოყოლილი. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მალაზიაც ისე იყო აკლებული და გამოფხეკილი ერთ ჭამა, როგორც მოსკოვი ნაპოლეონის დაცემის დროს. მაგრამ თურმე ამ ბოლოს დროში მოჰხდით ბძანება და ხელ-ახლად შეიკრიბა მთელს სოფელში 900 კოდი პური და 700 კოდი ფეტვი.

ამ გვარი შემთხვევა მომხდარა ჯერ-ჯერობით ხოლოდ მარტო ამ ერთ სოფელში. არ ვიცი თუ როგორ აცხონებს სხვა სოფლებს ეს ერთი.

მაეც კია, რომ ჩემი მკედარი დამა-ეიწყდა და სხვისას ვტირი;—ბევრიც რომ ვიჩიელო და ვიცე თავში, ჩვენებური პურის მალაზიებში კი მაინცა და მაინც ცარიელები და მით უსარგებლოები რჩებიან ევეყრისათვის.

მაზეზ, მე მგონია, ცხადია. ჩვენ მხოლოდ თვალ-ყური ვადევნოთ, თორემ კი დავსწრობით, ბატონებო: ნიორ ნაქამებიც მალე გამოჰყოფენ თავსა... X

### უსხო ქვეყნები

#### ოსმალეთი

მენის გაზეთს „ტაგბლატში“ დაბეჭდილია სტამბოლიდან მიღებული კორესპონდენცია, რომლის ავტორი სხვათა შორის ამბობს, რომ, როგორც ამბობენო, სტამბოლში აღმოჩენილ შეთქმულობას ის განზახვა ჰქონდაო, რომ ახლანდელი ხონთქარი გადაეყენებინათ და მის ადგილას ოსმალეთის ტახტზე დაესვათ ძმა მისი რეშად-ფენდი, რომლის იმედი ჰქონდათო, რომ ის დაადგებოდა ნაციონალურ პოლიტიკას და განდევნიდა ოსმალეთიდან ხაირედინ-ფაშას და საიდს, რომელთაც თითქო ევროპული წესების შემოღება ჰქონდა ოსმალეთშიო. როდესაც ხონთქარმა შეიტყოვო, რომ ამ შეთქმულობაში იმის ძმა და სიძე (მაჰმუდ-დამატ) იღებენ მონაწილეობას, ისე გაჯაერდაო, რომ ბრძანება უნდა მიეცა იმათი სიკედილით დასჯისა, მაგრამ მერე, მინისტრების რჩევით, გადაწყვიტა ამათი განდევნა სტამბოლიდან.

— ამავე საგნის შესახებ ერთი ფრანკუზული გაზეთის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება:

„მშვიერი და თითქმის მიშველი ხალხი დადის სტამბოლის ქუჩებში, უჭირავთ ხელში წითელი დროშა და ხმა-მალლა ჰყვირიან: „პური გვინდა! პური გვინდა!“ პოლიცია დიდ ფაცა-ფუცშია, ბრალეულს და უბრალოს ატუსაღებენ, ბევრი წარჩინებული პირი ვაჰყარეს სტამბოლიდან. ჯარები მზათ არიან ყაზარმებში, პირველი ბრძანებისათანავე თოფიარალით გამოვლენ აჯანყებული ხალხისა და არეულობის დასაწყნარებელად. ამბობენ, ხონთქარი ძალიან შეშინებული არისო...“

### გერმანიის იმერსი

ნემეცურს გაზეთებში იწერებინან, მათომც ბერლინიში მყოფობის დროს თ. მორჩაკოვმა სთქვა, მე დარწმუნებული ვარო, რომ არც აღმოსავლეთ საქმეებისა და არც სვლანის ომის გამო მეროპაში ხელ-ახლად არავითარი განხეთქილება და ბრძოლა აღარ ატყდებაო.

#### ბოლგარია

ბოლგარიიდან მოვიდა ამბავი, ამ ჟამად აქ ყველანი დარწმუნებული არიანო, რომ ბოლგარიის მომავალი ტახტის მთავრად უეჭველად ჩერნოგორიის სენატის თავმჯდომარეს ბოქიდარ პეტროვიჩს ნეგუშს ამოირჩევენო.

### განსხვავებანი

#### ლაპარხვა

ვისაც ჰსურს თავიანთ მიცვალებულის განსვენების დროს ჰყავდეს მუში-ქა იათ ფასად, შეიძლება მამართოს ჩმხ-სლავინაურ ორკმსტრის დირექტორს უფ. მატუშეკს, რომელიც ცხოვრებს მუხრანსკის ქუჩაზედ, სახლის № 27.

1879 წელს გაზეთი

### ბაქოს ცნობანი

(БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ)

ამოგა ბაქოში ისე, როგორც წინა წლებში გამოდიოდა.

მლირება წელიწადში, ბაქოში, მიტანით—5 მან; ნახევარ წლით—3 მან., სამთვით—1 მან. 75 კ., თვეში —75 კ. მაგზავნით ყველა ქალაქებში—6 მან., 1/2 წლის—3 მან. 50 კაპ., სამი თვით—2 მან., თვეში—90 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება ბაქოში, დაღმევის სახლში, მალუტინის ქუჩაზედ და ბაქოს შროთიერო ძრედიტის ბანკში. ბაქოს გარეთ მცხოვრებნი ამ აღრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ Баку, въ редакцію „Бакинскихъ Извѣстій.“

ამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა ბ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს ძ ა ვ კ ა ზ ი ს ს ა წ ი გ ნ ო მ ა ლ ა ზ ი ა შ ი, ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი, ლ ი ტ რ ო გ რ ა ფ ი ს ყ ლ ი თ ა (ს უ რ ა თ ი თ ა):

### „სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები

თქმული

გიორგი ი. სპანდარ-ნოვისაგან.

შასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქვე ისყიდება აგრეთვე „ნაბანი“ ი. ბოგებაშვილისა. შასი 10 კაპ.

ღიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაივის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკაბი“,—თ ფ ი ლ ი ს შ ი: ბ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს, მ ა რ თ ა ნ ო ვ ი ს და ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს წ ი გ ნ ი ს მ ა ლ ა ზ ი ა შ ი,



მლადიკაეკაზს: ბიორგი ბარათოვ-  
თან, ბორში: ზაქარია ლონდაროვთან,  
ცხინვალში: თ. მანო მატეაქოვ-  
თან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამცხის  
მეჯვრისხევის: მასწავლებელ მოსე  
ნათაძესთან, ქუთაისს: პ. მესხის წიგ-  
ნის მალაზიაში და ლ. ბოკერასთან, სამ-  
ტრედიას: იორდანე სინარულიძესთან,  
შოთში, მლიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუ-  
თავეს მეორე კომედიო. — „**ცოლი ში-  
ტირო, თუ ფული?**“

დაიგვიდა და ისყიდება  
სამართვალოს

# კალენდარი

შანი 20 კაპიკი

შედგენილი ი. ლიძისაგან და გამო-  
ცემული მკ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მალაზია-  
ში. ბორში: დამოვეის მალაზიაში. ქუ-  
თაისში: პ. მესხის წიგნის მალაზიაში და  
ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. შოთ-  
ში: მლისბარ ბაბალოვთან, მსურგეთში,  
ბრიგოლ ჯინჭარაძის მალაზიაში.

შინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს,  
იმას ეგზემპლიარი 15 კაპიკათ დაეთ-  
მობათ.

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭედ-  
დან და იქმნება გასასყიდათ ამავე აღგ-  
ლებზედ: ივ. პერესელოძის **ლექსების**  
გამოცემული მქეთიმე ხელაძისაგან

შანი ყველგან 50 კაპ.

ლექსები

# „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელიაგან გა-  
მოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვი-

ანის, მართანოვის, ბრიქუროვის და სხვა  
წიგნის მალაზინებში და „ივერიის“ რე-  
დაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას,  
ბ. მოფურიძის ლუქანში და აბაშის  
სტანციაზე პ. მელიქოვის ლუქანში, ზე-  
სტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას ლუ-  
ქანში.

შანი ორი შაური. მც. ეგზემპლიარს  
ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემ-  
პლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც  
იყიდის იმას შვიდ კაპიკათ.

ყოველ-დღიური პოლიტიკური და  
ლიტერატურული რუსული გაზეთი.

# შეხილვა

(ОБЗОРЪ)

ბამოციემა თფილისში 1879 წელსა  
ამავე პროგრამითა, მიმართულებით,  
ამავე ვადებში და ამავე სიგრძით, რო-  
გორც 1878 წელს გამოდიოდა.

ხელ-მოსაწერი შანი, გაზეთით და  
მიტანით: წელიწადში—15 მან., ნახევარ  
წლის—8 მან., სამი თვის—4 მან. 25 კ.  
და ერთის თვით—1 მან. 50 კაპ. მსურ-  
ველს შეუძლიან ხუთ-ხუთი მანეთი შე-  
მოიტანოს პირველს იანვარს აპ-  
რილსა და აგვისტოს.

ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის  
კანტორაში ქ. თფილისში, ბოლოვი-  
ნის პროსპექტზე, სახლს № 7. ძალაქს  
გარეშე მცხოვრებნი აღრესით დაიბარე  
ბენ გაზეთს: Въ г. Тифлисъ, въ Редак-  
цію газеты „Обзоръ“.

რედაქტორი ნ. ნიკოლაძე.

**პართანოვის წიგნის მალა-  
ზიაში ისყიდება:**

**დედა-მნა**, ანუ ანბანი და პირ-  
ველი საკითხავი წიგნი, სახალხო  
შკოლებში სახმარებელი, შედგე-  
ნილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეო-  
რე შესწორებული გამოცემა. შა-  
სი ექვსი შაური, ყდაში გადაკრუ-  
ლი ცხრა შაური. თუ რომელიმე  
შკოლა იყიდის ერთად ოც-და-ათ  
ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერ-  
ძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთ-  
მობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი  
ორ აბაზათა.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი  
წიგნი, დაბალ კლასებში სახმარე-  
ბელი, მესამე გამოცემა, შეესე-  
ბული და შემკული სურათებით  
და საქართველოს კარტით; ფასი  
ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი  
დაეთმობა თოთხმეტ შაურათ,  
ვინც ერთად იყიდის თხუთმეტ  
ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ,  
ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათ  
ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი  
ეგზემპლიარის ერთად მყიდველსა.  
ისაც ჰსურს ყდაში გადაკრული  
შაილოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს  
სამი შაური.

**საყვარული კონა** პირველ  
დაწყებითი მოთხრობებისა ბუნე-  
ბის მეცნიერებიდგან, გამოცემა  
პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა**, პირვე-  
ლი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწ-  
ვილო მოთხრობასა; ფასი ორი  
შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული  
და რუსული სახელმძღვანელო  
წიგნები. (10—10)

რძ. გზა.	ლილა.	საღაპ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	გაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მც. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 13 ექვმებრს.		ქრევეს მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	დაეკასიის აქეთა მზრის ყველა ქალაქებში.	50	შვე. თეთ. ბანჯრისა, ფთ.	170	აგათყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვი, მდესას, მოსკოვის პეტერბურღს, პარშავას.	2	შერი ფუთი	130	მ. რ. შაბათს: მერმიშევი და ბარლევინა—შინაგ. ავთა, შიურნარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ხაშური	129	11 57	3 92	2 18	მსმალეთში, შვეიც. რიაში.	2	ბამბა მრეცისა, ფუთი	7	სამ შაბათს: მერმიშევი—შინაგ. პ. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პუნოვი—თფლის.
სურამი	144		4 42	2 46	იტალიაში და საფრანგეთში.	3	— ამერიკისა, ფუთი	8	ნავანი.
ქვირილა	5 49		5 81	3 23	ინგლისში	3 50	ბაპენტალი ბ. მბა ფუთი.	10	ხუთ შაბათს: მერმიშევი—შინაგ, შიურნარიანცი—სიჭილიტიკური და საშარდე ორგანების.
რიონი	6 57		6 75	3 75		3 75	მატული თუშური ფუთი.	7 50	პარასკევს: მერმიშევი—შინაგ, პ. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7 51		7 73	4 29			— მარკამისა ფუთი	4 60	პ. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76			აბრეშუმში ნუხური სტ.	2	შინაგ, შიურნარიანცი—სიჭილიტიკური და საშარდე ორგანების.
შოთი	9 50		9 75	5 42			— მონი, ფუთი	5 10	პ. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
შოთი	9	3					მონის სანთელი ფუთი	7 60	პ. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
ახალ-სენაკი	10	14					სტეარინის სანთელი, ფთ.	12	5
სამტრედია	11	5					ხორცი ქროხისა, ლიტ.	—	90
რიონი	12	13					— ცხვისა, ლიტრა	—	90
ქვირილა	1	18					სპირტი ვდრო	—	4
სურამი	5	12					შაქარი, ბროც. ფუთი	—	7
ხაშური	5	39					— ფხენილი ფუთი	—	6
ბორი	7	5					შავა გრგვალი, გირვ.	—	70
მცხეთა	8	50					ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	—	13
თფილისი	9	31					მამბაქო, საშუალო ფთ.	—	6